

გრიგოლ ბერაძე,  
მარინა ალექსიძე,  
თამარ მოსიაშვილი

**ქართველები სეფიანთა ირანში: უნდილაძეების საგვარეულოს  
წარმომადგენლებთან დაკავშირებული XVII საუკუნის რამდენიმე  
სპარსული და არაბული წარწერის შესახებ\***

**რეზიუმე**

სტატიაში შესწავლილია სეფიანთა პერიოდის ირანის სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ასპარეზზე მოღვაწე უნდილაძეთა საგვარეულოს ორ წარმომადგენელთან (ალავერდი ხანი და მისი ვაჟი იმამყული ხანი) დაკავშირებული რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერა (მეშვედში ალავერდი ხანის აკლდამაზე, შირაზში ძველი საკრებული მეჩეთის შესასვლელის პორტალზე, გოლფაიეგანის ერთ-ერთ რელიგიურ ნაგებობაზე, კუნძულ ჰორმუზის აღების შემდეგ ნადავლის სახით მოპოვებულ პორტუგალიურ ზარბაზნებზე). ხაზგასმულია, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს წარწერები აქამდე უცნობი იყო, მათი შესწავლა კი უთუოდ გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას ირანში უნდილაძეთა მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** სეფიანთა ირანი, უნდილაძეები, მეშვედი, შირაზი, გოლფაიეგანი, ჰორმუზი

წინამდებარე სტატია შეეხება რამდენიმე სპარსულ და არაბულ წარწერას, რომლებიც დაკავშირებულია სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ასპარეზზე აღზევებული უნდილაძეების საგვარეულოს ორი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი წარმომადგენლის -- ალავერდი ხანის (გარდ. 1613 წ.) და მისი უფროსი ვაჟისა და მემკვიდრის იმამყული ხანის (გარდ. 1632 წ.) სახელებთან. სახელდობრ, ნაშრომში განხილული იქნება XVII საუკუნის პირველი მეოთხედის (ანუ ზემოხსენებულ უნდილაძეთა თანადროული) შემდეგი ეპიგრაფიკული მასალა:

- 1) ალავერდი ხანის გუმბათიანი აკლდამის არაბული და სპარსული წარწერები ქ. მეშვედიდან;
- 2) ქ. შირაზის ძველი საკრებულო მეჩეთის (მასჯედ-ე ჯამე-ე ‘ათიყ-ე შირაზ) ჩრდილოეთი შესასვლელის პორტალზე განთავსებული არაბული წარწერა;
- 3) ქ. გოლფაიეგანის ერთ-ერთ რელიგიურ ნაგებობაზე (ემამზადე-იე ჰეფდაჰ-თან) არსებული არაბული და სპარსული წარწერები;
- 4) სპარსული წარწერები 1622 წელს ირანელთა მიერ იმამყული ხანის სარდლობით ჰორმუზის აღებისას სამხედრო ნადავლის სახით ხელში ჩაგდებულ პორტუგალიურ ზარბაზნებზე.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე უცნობი ეს წარწერები წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო დამატებით მასალას უნდილაძეების საგვარეულოს ისტორიის

სხვადასხვა ასპექტებისა და საკითხების (მათ შორის საამშენებლო სფეროში ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა აქტიური მოღვაწეობის<sup>1</sup> საკითხის) კვლევისათვის.

## I. ალავერდი ხან უნდილაძესთან დაკავშირებული წარწერები.

მიუხედავად იმისა, რომ ალავერდი ხან უნდილაძე როგორც სახელგანთქმული მხედართმთავარი და ფარსის (და რამდენიმე სხვა პროვინციის) ბეგლარბეგი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, გავლენიანი და მრავალმხრივ აქტიური ფიგურა იყო შაჰ ‘აბას I-ის (1587-1629) ეპოქის ირანში, მის სახელთან დაკავშირებული ეპიგრაფიკული მასალა საკმაოდ მწირია. ჩვენამდე მოღწეულია (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის გამოვლენილია) მისი სახელის შემცველი მხოლოდ ერთი ისტორიული წარწერა, რომელიც ამშვენებს მისსავე აკლდამას ქალაქ მეშქედში.<sup>2</sup> როგორც ცნობილია, ალავერდი ხანის ეს აკლდამა მეშქედში მდებარეობს მერვე შიიტი იმამის რეზას (იმამ ‘ალი იბნ მუსა ალ-რიზა, გარდ. 818 წ.) ოქროსგუმბათიანი წმინდა აკლდამა-მავზოლეუმის უშუალო სიახლოვეს (მის ჩრდილო-აღმოსავლეთით).

ალავერდი ხანის აკლდამა, რომლის მშენებლობა დაიწყო მთვარის ჰიჯრის 1012 წელს (=1603/4 წ.) და დასრულდა 9 წელიწადში, რვაწახნაგა ფორმის ნაგებობაა თავზე სპილენძის გუმბათით (სურ. 1 და 1a). ნაგებობის სიმაღლე იატაკიდან გუმბათამდე 16,19 მეტრია, ხოლო მისი საერთო ფართობი შეადგენს 171 კვ. მეტრს აკლდამის შიდა სივრცეც რვაწახნაგაა, რომლის თითოეულ წახნაგში წარმოდგენილია მუკარნასებიანი დიდი შეისრულთაღოვანი ნიშები მათ ზემოთ (მეორე იარუსზე) იმავე ფორმის პატარა ნიშებით (სურ. 2 და 4). აკლდამის მთელი იატაკი (და ასევე საკმაოდ მაღალი პლინთუსები) მარმარილოს ქვებითაა გაწყობილი, ხოლო შიდა კედლები, კამარები და გუმბათოვანი ჭერი მთლიანად მოპირკეთებულია მოზაიკურად აწყობილი პატარა ფერადი მოჭიქული ფილებით, რომლებშიც ჩაქსოვილია დიდი მხატვრული ოსტატობით შესრულებული წარწერები, არაბესკები, ისლიმები, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, სხვადასხვა ფრინველის და ცხოველის გამოსახულებები. ალავერდი ხანის აკლდამა, რომელიც „ალავერდი ხანის გუმბათის (გონბად-ე ალლაპვერდი ხან)“ სახელითაა ცნობილი, იმამ რეზას მავზოლეუმის ირგვლივ საუკუნეთა განმავლობაში წარმოქმნილი და განვითარებული მეტად ვრცელი და ფრიად შთამბეჭდავი ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნაწილად ითვლება.

ალავერდი ხანის აკლდამა შემკულია ნატიფი კალიგრაფით შესრულებული სხვადასხვა სახის მრავალრიცხოვანი წარწერებით, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არაბულენოვანია.<sup>3</sup> ამ ძეგლის ისლამურ ეპიგრაფიკულ რეპერტუარში ვხვდებით ყურანის 62-ე („შეკრება“) და 112-ე („სიწრფელე“) სურებს, ცალკეულ აიებს მთელი რიგი სხვა სურებიდან, სხვადასხვა ჰადისებს და შიიტურ გადმოცემებს (რივაია), შიიტი იმამებისადმი მიძღვნილ ტექსტებს (თითოეული იმამის სახელისა და ტიტულების, მათი სრული გენეალოგიური ჯაჭვის, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღების მითითებით) და სხვ. ამ არაბული წარწერებიდან ჩვენ დღეს შევეხებით მხოლოდ ერთს, რომელშიც იხსენიება თავად ალავერდი ხანი და მითითებულია წარწერის თარიღი. სხვა წმინდა რელიგიური შინაარსის ისლამურ წარწერებზე აქ არ შევჩერდებით.

ჩვენთვის საინტერესო არაბული წარწერა განთავსებულია ალავერდი ხანის აკლდამის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე შეისრულთაღოვანი ნიშის კედლის სამ წახნაგზე (ეს კარებიანი ნიშა ხსენებულ აკლდამას მის მომიჯნავე დარ ალ-ზიაფასთან აკავშირებს) და სულსის კალიგრაფიული ხელით ერთნაირად შესრულებული ორი ნაწილისგან შედგება; პირველ ნაწილში ციტირებულია ერთ-ერთი შიიტური გადმოცემა, რომლის ტექსტი (მათხ) შეიცავს მოციქულ მუჰამადის წინასწარმეტყველურ გამონათქვას

ხორასანში (ამ ირანულ პროვინციაში მდებარეობს ქ. მეშტედი) იმამ რეზას დაკრძალვის შესახებ: „წინასწარმეტყველმა – აღაპის ლოცვა-კურთხევა იყოს მასზე და მის ოჯახზე! – თქვა: ჩემი ნაწილი დაიკრძალება ხორასნის მიწაზე. სამოთხეს მიიღებს ყველა ის მორწმუნე, ვინც მას მიეახლება-მოინახულებს და მისი სხეული დაცული იქნება ცეცხლისგან”; წარწერის მეორე ნაწილი კი წარმოადგენს სააღმშენებლო ხასიათის ტექსტს, რომელიც გვაწვდის კონკრეტულ ინფორმაციას მოცემული აკლდამის აგების დროისა და მისი ამშენებელი პიროვნების (ანუ აღავერდი ხანის) ვინაობის შესახებ. იქვე, იმავე წარწერის ბოლოს, მითითებულია ამ წარწერის შემსრულებელი ოსტატის სახელი და ციფრებით გამოხატული თარიღი ‘1022’, ანუ მთვარის ჰიჯრის 1022 წლის (=1613 წლის 21 თებერვალი - 1614 წლის 10 თებერვალი), რაც მშენებლობის საბოლოოდ დასრულების თარიღს შეესაბამება. ცნობილია, რომ აღავერდი ხანიც სწორედ აღნიშნულ წელს გარდაიცვალა (მისი გარდაცვალების კონკრეტული თარიღია მთვარის ჰიჯრის 1022 წლის 14 რაბი II /1613 წლის 3 ივნისი) და მისი ანდერძის შესაბამისად დაიკრძალა მის მიერვე და მისსავე სახელზე საგანგებოდ აგებულ ამ გუმბათიან აკლდამაში. წარწერა ასე იკითხია:

في أيام دولت السلطان الأعظم والخاقان الأفخم محيي الدين سيد العرب والعمجم أبو المظفر شاه عباس  
الحسيني الموسوي الصفوي بهادرخان خلد الله ملكه والباني لهذا البناء الرفيع المنيع وأقل عبيده  
الأمير الأمراء الزمان الله وردي خان وفقه الله يحب ويرضى عمل أمير بن حاج محمود نظراني  
١٠٢٢

„უდიდესი სულთნისა და დიადი ხაყანის, რელიგიის მაცოცხლებლის, არაბთა (არაბეთის) და არაარაბთა (სპარსთა; სპარსეთის) ბატონის აბუ 'ლ-მუზაფარ შაჰ 'აბას ალ-ჰუსაინი ალ-მუსავი ალ-საფავი ბაჰადურ ხანის – მარადიული გახადოს აღაპმა მისი მეფობა! – მმართველობის დროს (აღმართული) ამ დიდებული ნაგებობის ამშენებელია მისი (აღაპის) უმდაბლესი მონა, დროის ამირთა ამირი (ამირ ალ-უმარა ალ-ზამან) ალაპვერდი ხანი – აღაპიმც შეეწიოს მას იმით, რაც უყვარს და აკმაყოფილებს! შეასრულა ამირ იბნ ჰაჯ მაპმუდ ნაზარანიმ 1022 [წელს]“.<sup>4</sup>

საინტერესოა აღინიშნოს, რომ აღავერდი ხან უნდილამის აკლდამის ეპიგრაფიკულ პროგრამასა და რეპერტუარში, მრავალრიცხოვანი არაბული წარწერების გარდა, ვხვდებით აგრეთვე ორ სპარსულენოვან პოეტურ წარწერას. ორივე ეს წარწერა კალიგრაფიულად ნასთალიყით არის შესრულებული და განთავსებულია აკლდამის შიდა სივრცეში არსებული შეისრულთაღოვანი ნიშების კედლებზე.

აკლდამის აღმოსავლეთი ნიშის მოჭიქულ ფილებზე იკითხება პოეტური ტექსტი, რომელიც წარმოადგენს ქრონოგრამის შემცველ ოთხბათიან სპარსულ ლექსს. ამ ლექსის პირველი ორი ბათთი განთავსებულია ნიშის მარჯვენა მხარეს, ხოლო მომდენო ორი ბათთი კი ნიშის მარცხენა მხარეს. ტექსტი ასე იკითხება:<sup>5</sup>

خوش بنانی است این بنا که زند // فرش او تکیه بر فراز فنک

تا کند رفعتش نظر پنهاد // از مه و مهر و نه فنک عینک

چو بود در جوار روضه شاه // خرد گفت کامده بی شک

سال تاریخ آن خجسته مقام // کعبه خلق و سجده گاه ملک

„კარგი შენობაა ეს შენობა, რომლის // ხალიჩისებრი მორთულობა ცის კაბადონს ეყრდნობა.

მისი სიდიადისთვის რომ მზერა შეევლო, // მზის, მთვარის და ცხრა ცის  
საჭვრეტი სათვალე გაიკეთა.<sup>6</sup>

რადგან შაპის<sup>7</sup> აკლდამის სიახლოვეს არის, // ჩემი გონების კარნახით  
უეჭველად გაცხადდა

ამ კურთხეული ადგილის (აგების) თარიღი: // ხალხის ქა'აბა და ანგელოზის  
სამლოცველო“.

ამ ოთხბაითანი ლექსის უკანასკნელ მისრა'-ში წარმოდგენილია ქრონოგრამის შემცველი ფრაზა (“ქა'ბე-იუ ხალყ ვა საჯდეგაჲ-ე მალაჲ”), რომლის ყველა ასონიშნის რიცხვითი მნიშვნელობების საერთო ჯამი (აბჯადის სისტემის მიხედვით) არის ‘1021’, რაც გულისხმობს მთვარის ჰიჯრის 1021 წლის (= 1612 წლის 4 მარტი - 1613 წლის 20 თებერვალი). მაშასადამე ეს ლექსი-ქრონოგრამა დაწერილია აკლდამის მშენებლობის საბოლოოდ დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, იმ დროს, როცა ალავერდი ხანი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. შეგახსენებთ, რომ ალავერდი ხანი გარდაიცვალა მთვარის ჰიჯრის 1022 წლის რაბი’ II თვის 14 რიცხვში (= 1613 წლის 3 ივნისი).

მოჭიქულ ფერად ფილებზე ნასთალიური გამოყვანილი მეორე პოეტური წარწერა განთავსებულია ალავერდი ხანის აკლდამის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარე ნიშაში (ეს კარებიანი ნიშა ჩვენთვის საინტერესო აკლდამას ჰათემ ხანის გუმბათიან აკლდამასთან აკავშირებს) და წარმოადგენს შემდეგ სპარსულ რობა’ის:<sup>8</sup>

جبرئيل ز عرش آيد و حوران ز نعيم  
از بھر طوف شه فردوس حریم  
عمدا پر خود بر دم مقراض زند  
شاید که بدینو سیله گردند مقیم

„ზეციური სფეროებიდან ჯაბრა’ილი მოვა და სამოთხიდან ჰურიები, // რათა გარშემოვლით თაყვანი სცენ სამოთხის ბაღისებრ წმინდა ადგილას (დამკვიდრებულ) შაპს.<sup>9</sup>

განგებ თავიანთ ფრთებს მაკრატლის პირზე ისერავენ, // რომ იქნებ ამგვარად (აქ) დაემკვიდრონ“.

ციტირებული რობა’ის ტექსტს ბოლოში ერთვის შემდეგი არაბული მინაწერი, რომელიც გვაუწყებს ამ ლექსის ავტორისა და წარწერის შემსრულებლის ვინაობას (მისი სახელი ყოფილა „ჰასან ალ-ხადიმი“):<sup>10</sup>

قائله و راقمه حسن الخادم

„მისი (ანუ რობა’ის) მთქმელი და (წარწერის) დამწერი ჰასან ალ-ხადიმი“.

ჩვენთვის საინტერესო ამ რობა’ისთან დაკავშირებით ირანელი მკვლევარები ყურადღებას მიაპყრობენ წერილობით წყაროებში შემონახულ ერთ გადმოცემას, რომელიც შაპ ‘აბას I-ის ქალაჲ მეშქედში ერთ-ერთ ადრინდელ ვიზიტს ეხება. ამ გადმოცემის თანახმად, მეშქედში ერთ საღამოს იმამ რეზას აკლდამაში მისვლისას შაპს სასთლებისთვის განკუთვნილი სპეციალური მაკრატელი (გოლგირ-ე შაპ)<sup>11</sup> აუღია და ამ მაკრატლით იქ ანთებული სანთლების ფითილების შეკრეჭვა და ნამწვავისგან გამოსუფთავება დაუწყია, რაზეც მის ამაღაში მყოფ შეიხ ალ-ისლამს, გამოჩენილ მუსლიმ სწავლულსა და პოეტს შეიხ ბაპა’ის (ბაპა ალ-დინ მუჰამად ალ-ამილი, 1547-1621; დაკრძალულია მეშქედში) იქვე ექსპრომტად წარმოუთქვამს რობა’ი, რომელშიც ის მიმართავს წმინდა აკლდამის ხადემს (ანუ მსახურს; იგულისხმება იმჟამად ამ აკლდმის მსახურის როლში მყოფი შაპი):

„მიწყივმსუფევნი არიან ზეციური ანგელოზები,  
სამოთხისებრი აკლდამის<sup>12</sup> სანთლის ფარვანები,  
მაკრატელი ფრთხილად შეახე, მსახურო (ხადემ)!  
მეშინია, [ალაპის] ნდობამოსილ ჯაბრა’ილს ფრთა არ დაუზიანო“.<sup>13</sup>

გამოთქმულია ვარაუდი (სეიდ ებრაპიმ მუსავი ფანაპი), რომ სწორედ შეიხ ბაჰა’ის ამ ექსპრომტით ინსპირირებული და მის ერთგვარ „საპასუხო“ (ჯავაბ) გადამახილად უნდა იყოს მოგვიანებით დაწერილი ალავერდი ხანის აკლდამაში წარწერის სახით დაფიქსირებული ზემოხსენებული სპარსული რობა’ი.<sup>14</sup>

## II. იმამყული ხან უნდილაძესთან დაკავშირებული წარწერები

ჩვენი სტატიის შემდეგი მონაკვეთი ეთმობა ალავერდი ხან უნდილაძის უფროსი ვაჟისა და მემკვიდრისა, ფარსის (და ასევე ლარის, ქუპ-გილუისა და ბაჰრეინის) ძლიერი ბეგლარბეგისა და სახელმოხვეჭილი მხედართმთავრის იმამყული ხანის მოღვაწეობის სხვადასხვა მომენტებთან დაკავშირებულ დღემდე მოღწეულ ეპიგრაფიკულ მასალას.

ერთ-ერთი საყურადღებო ეპიგრაფიკული ტექსტი, რომელიც იმამყული ხანის სახელს უკავშირდება და მის საამშენებლო საქმიანობას ეხება, გახლავთ სულსის კალიგრაფიული ხელით ნატიფად შესრულებული ვრცელი არაბული წარწერა შირაზიდან, ანუ ფარსის ქართველი ბეგლარბეგის მთავარი სარეზიდენციო ქალაქიდან. წარწერა განთავსებულია ქ. შირაზის უძველესი საკრებულო მეჩეთის (მასჯედ-ე ჯამე-ე ‘ათიყ-ე შირაზ) ვრცელი არქიტექტურული კომპლექსის<sup>15</sup> ჩრდილოეთი შესასვლელის (მას „დარბ-ე დავაზდაჲ ემამ“-ს ანუ „თორმეტი იმამის შესასვლელს“ უწოდებენ) ე.წ. ივანის ტიპის შეისრულთალოვანი მუკარნასიანი პორტალის შიდა სივრცეში, უშუალოდ შესასვლელი თაღოვანი კარების ზემოთ, პორიზონტალურად (და სიგრძივ გაბმულად) კედლის ყველა წახნაგზე (სურ. 5 და 6).

წარწერის ტექსტიდან ირკვევა, რომ შაჰ ‘აბას I-ის ზეობის დროს შირაზის ამ უძველესი ისტორიული მეჩეთის ერთ-ერთი რესტავრაცია, განახლება და ახალი წარწერებითა და დეკორატიული ელემენტებით შემკობა განხორციელებულა იმამყული ხანის ძალისხმევითა და უშუალო ჩართულობით. საკუთრივ ეს წარწერა შესრულებულია კალიგრაფ ღიას ალ-დინ ‘ალი ალ-ჯაუჰარის მიერ მთვარის ჰიჯრის 1031 წელს (= 1621 წლის 15 ნოემბერი - 1622 წლის 4 ნოემბერი). აქვე შევნიშნავთ, რომ ამავე ძეგლის რამდენიმე სხვა იმდროინდელი წარწერა მთვარის ჰიჯრის 1027-1034 წლებით (=1617-1624 წწ.) თარიღდება, რაც ზემოხსენებული სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების ქრონოლოგიას გვიჩვენებს. ჰიჯრის 1031 წლის ჩვენთვის საინტერესო წარწერა ასე იკითხება:<sup>16</sup>

الحمد لله الذي أسس أساس الدين المبين بشريعة محمد سيد الأولين والآخرين والصلة والسلام  
على من هو مخاطب بأمين الملك والملة والهـ المعصومين وأما بعد وفق بتجديد هذا البيت العتيق  
في زمن خلافة خليفة الله في الأرضين فهرمان الماء والطين السلطان بن السلطان أبو المظفر  
شاه عباس الصفوي الحسيني بهادرخان خدـه الله تعالى ملـهـ وسلطـهـ وافتـهـ بـهـ وـافـاضـ بـهـ وـإـ  
إـحسـانـهـ عـلـىـ الـعـالـمـينـ الـوـالـيـ مـنـ قـبـلـهـ الـخـانـ العـادـلـ أـمـيرـ الـأـمـرـاءـ فـيـ الزـمـانـ نـاـشـرـ الـمـعـدـلـةـ وـالـبـرـ  
وـالـإـحـسـانـ إـمـامـ قـلـيـخـانـ الـوـاقـقـ بـعـنـيـةـ رـحـمـةـ .. وـبـهـ الـمـبـينـ مـحـمـدـ رـضـاـ المشـيرـ المـخـاطـبـ بـأـمـينـ  
الـمـلـكـ كـتـبـهـ غـيـاثـ الدـيـنـ عـلـىـ الـجـوـهـريـ فـيـ سـنـةـ ١٠٣١ـ هـجـريـ

„ქება-დიდება ალაპს, რომელმაც დაადგინა ნათელი რელიგიის<sup>17</sup>  
საფუძველი პირველთა და უკანასკნელთა მეუფე მუჰამადის შარი’თით –  
ლოცვა-კურთხევა და მშვიდობა იყოს ძასზე, ვინც სამეფოსა და ხალხის  
(თემის) ნდობამოსილად იწოდება,<sup>18</sup> და მის ყოვლადუცოდველთა ოჯახზე!

და შემდეგ: ამ ძველი (დიდებული)<sup>19</sup> სახლის განახლება განხორციელდა ორ ქვეყანაში ალაპის ნაცვალის, წყლისა და თიხის (მიწის) მპყრობელის, სულთან იბნ სულთან აბუ 'ლ-მუზაფარ შაჰ 'აბას ალ-საფავი ალ-ჰასანი ალ-ჰუსაინი ბაჰადურ ხანის მმართველობის დროს – მარადიული გახადოს ყოვლადმაღალმა ალაპმა მისი მეფობა და სულთობა და ზეგარდმოვიდეს მისი სამართლიანობა და კეთილმოწყალეობა ორსავე სამყაროზე ! – მისი (შაჰის) რწმუნებული მმართველის, სამართლიანი ხანის, დროის ამირთა ამირას (ამირ ალ-უმარა ფი ღა-ზამან), კანონიერების სამართლიანობის და სიკეთის გამავრცელებლის, (ალაპის) უსაზღვრო კეთილმოწყალეობაში დარწმუნებული იმამყული ხანის მიერ ... და ...<sup>20</sup> ამინ ალ-მულქის ზედწოდების მქონე მრჩეველი მუჰამად რიზა.<sup>21</sup> დაწერა ეს ღიას ალ-დინ 'ალი ალ-ჯავჰარიმ ჰიჯრის 1031 წელს.“

იმავე იმამყული ხან უნდილაძის საამშენებლო მოღვაწეობას უკავშირდება ასევე თარიღიანი წარწერები ქალაქ გოლფაიეგანიდან. მხედველობაში გვაქვს ამ ქალაქის განაპირას მდებარე შიიტური რელიგიური მემორიალური ნაგებობა – გუმბათიანი რვაწახნაგა ფორმის აკლდამა-სამლოცველო „ემამზადე-იე (ან ემამზადეგან-ე) ჰეფდაჰთან“, რომელშიც, გადმოცემის თანახმად, თავმოყრილია სხვადასხვა შიიტი იმამების შვილთა (სულ 17 პირის) საფლავები (სურ. 7). ამ იმამზადეს სხვადასხვა ნაწილში დაფიქსირებულია ჩვენთვის საყურადღებო ორი წარწერა, რომელთაგან ერთი თარიღდება მთვარის ჰიჯრის 1032 წლით (= 1622 წლის 5 ნოემბერი - 1623 წლის 24 ოქტომბერი), ხოლო მეორე – მთვარის ჰიჯრის 1033 წლით (= 1623 წლის 25 ოქტომბერი - 1624 წლის 13 ოქტომბერი). ორივე წარწერა სააღმშენებლო ხასიათისაა და გვამცნობს, რომ ეს ნაგებობა აშენებულია შაჰ 'აბას I-ის ზეობის ხანაში იმამყული ხანის პირადი ძალისხმევითა და ხელმძღვანელობით. აქვე აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ გეოგრაფიულად გოლფაიეგანი მართალია იმამყული ხანის მეტად ვრცელი საბეგლარბეგოს საზღვრებში არ შედიოდა (ის ისფაპანის პროვინციის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა), მაგრამ ამ ქალაქის და მიმდებარე ტერიტორიის მართვა-პატრონობაც (ისევე როგორც, მაგალითად, დასავლეთ ირანში, ჰამადანის ახლოს მდებარე თუისერქანის მართვა) შაჰ 'აბასს სწორედ იმამყული ხანისთვის ჰიქონდა ჩაბარებული. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ გოლფაიეგანის ხსენებული აკლდამის წარწერებიდან რამდენიმე წარწერა შესრულებულია მირაზელი ოსტატის ღიას ალ-დინ 'ალი ალ-ჯაუჰარის მიერ, ანუ იმ ოსტატის მიერ, რომლის ნახელავიც არის ჩვენს მიერ ზემოთ უკვე განხილული არაბული წარწერა ქალაქ შირაზიდან (იგულისხმება შირაზის ძველი საკრებულო მეჩეთის ჩრდილო შესასვლელ პორტალზე არსებული წარწერა).

გოლფაიეგანის წარწერებიდან ქრონოლოგიურად ოდნავ უფრო ადრეული პირველი 8 წარწერა სპარსულენვანია (არაბული ელემენტებით). წარწერა მთვარის ჰიჯრის 1032 წლით თარიღდება, შესრულებულია სულსის კალიგრაფიული ხელით (ტექსტი თეთრ ფერში მუქ ლაჟვარდისფერ ფონზე). ტექსტი მოკლეა და ორ ნაწილად არის განთავსებული ოთხეუთხა ფორმის კარტუშებში ამ ძეგლის შეისრულთაღოვანი შესასვლელი პორტალის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. წარწერა სრულდება ციფრებით გამოხატული თარიღით ('1032-ში') და ის ასე იკითხება:<sup>22</sup>

## غلام با اخلاص پادشاه // دین پناه امام قلی خان فی

„რელიგიის მფარველი ფადიშაპის გულერთგული ღოლამი იმამყული ხანი 1032 (წ.).“

მეორე წარწერა გოლფაიეგანიდან არაბულია და მისი ტექსტი შედარებით ვრცელია, წარწერა შესრულებულია სულსის კალიგრაფიული ხელით (ყვითელი ფერის ტექსტი

მუქ ლაჟვარდისფერ ფონზე) და განთავსებულია გოლფაიეგანის ზემოხსენებული ძეგლის ჩრილოეთ მხარეს, შიდა ეზოსკენ გამავალი შეისრულთაღოვანი გასასვლელის ზემოთ. წარწერა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მთვარის ჰიჯრის 1033 წლით თარიღდება და ის ასე იკითხება:<sup>23</sup>

الحمد لله الذي منه التأييد وإليه الانتهاء والصلوة والسلام على خاتم الأنبياء الأصفياء محمد المصطفى وآله سيمما المرتضى على و....المعصومين وبعد فقد امر بعمارة هذا الروضه المنوره في الايام خلافه خليفة الله في الأرضين قهرمان الماء الطين أبو المظفر شاه عباس الحسيني الصفوی بهادرخان خلد الله تعالى ملکه وسلطاته وأفاض على العالمين بره وإحساته الخان العادل امير الامراء في الز مان ناشر المعدلة والبر والإحسان اما مقلی خان أیده الله تعالى ضلاله العلي إلى انفراض الزمان في ١٠٣٢

„ქება-დიდება ალაპს, ვისგანაც მოდის შეწევნაც და დასასრულიც, და ლოცვა-კურთხევა და მშვიდობა იყოს წინასწარმეტყველთა ბეჭედზე<sup>24</sup>  
-- მუქამად ალ-მუსტაფაზე და მის ოჯახზე, ალ-მურთაზა 'ალიზე<sup>25</sup> და ...  
(ოჯახის სხვა) ყოვლადუცოდველებზე!

და შემდეგ: ორ სამყაროში ალაპის ნაცვალის, წყლისა და მიწის (თიხის) მპყრობელის აბუ 'ლ-მუზაფარ შაპ 'აბას ალ-ჰუსაინი ალ-საფავი ბაჰადურ ხანის მმართველობის დროს – მარადიული გახადოს ყოვლადმაღალმა ალაპმა მისი მეფობა და სულთნობა და ზეგარდმუვიდეს მისი სამართლიანობა და კეთილმოწყალეობა ორსავე სამყაროზე! – ნათელმოსილი<sup>26</sup> ბალის (აკლდამის)<sup>27</sup> აშენება ბრძანა 1033 წელს სამართლიანმა ხანმა, დროის ამირთა ამირამ (ამირ ალ-უმარა ფი-ლ-ზამან), კანონიერების, სამართლიანობის და სიკეთის გამავრცელებელმა იმამყული ხანმა – ყოვლადმაღალი ალაპიმც შეეწიოს მას {და დაიფაროს} მისი (ალაპის) გზიდან აცდენისგან დრო-უამის დასასრულამდე !“

შირაზისა და გოლფაიეგანის ეპიგრაფიკული მასალის გაცნობის შემდეგ მკითხველის ყურადღება გვინდა მივაპყროთ იმამყული ხანის სახელთან დაკავშირებულ ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეულ და ისტორიული თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვან სპარსულ წარწერებს, რომლებიც თარიღდება მთვარის ჰიჯრის 1031 წლით (=1621 წლის 16 ნოემბერი - 1622 წლის 4 ნოემბერი). ამ წარწერებით მორთულია 1622 წელს ირანელთა მიერ იმამყული ხან უნდილაძის სარდლობით სპარსეთის ყურეში პორტუგალიელების წინააღმდეგ ჩატარებული წარმატებული სამხედრო ოპერაციის დროს კუნძულ ჰორმუზის აღების (სურ. 8) შედეგად სამხედრო ნადავლის სახით ხელში ჩაგდებული სხვადასხვა ზომისა და კალიბრის არაერთი პორტუგალიური ბრინჯაოს ზარბაზნის ლულის ზედაპირი. აღნიშნული წარწერების შესახებ გრიგოლ ბერაძემ საკმაოდ ვრცელი მოხსენება წარმოადგინა 2018 წელს თბილისში და 2019 წელს ისფაპანში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე<sup>28</sup> და აქ თემის ყველა დეტალზე ვრცლად აღარ შევჩერდებით. შემოვიფარგლებით მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით ამ ეპიგრაფიკული მასალის შესახებ.

გავეცნოთ ზემოხსენებული წარწერების დღეისათვის ჩვენთვის ცნობილ რამდენიმე ნიმუშს მსოფლიოს სამი ქვეყნის (ტანზანია, ომანი და პორტუგალია) სამუზეუმო კოლექციებში განთავსებული, შესაბამისი პორტუგალიური ზარბაზნების მიხედვით, რომლებიც იქ სხვადასხვა დროს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ირანიდან არის მოხვედრილი. რაც შეეხება საკუთრივ ირანს, ამ ტიპის წარწერებანი ბრინჯაოს ზარბაზნები, ცხადია, ირანშიც არის შემორჩენილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი

ამჟამინდელი ზუსტი ადგილმდებარეობის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება და მათ შესახებ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია და წარჩერების ამსახველი ფოტომასალა არ იძებნება. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში ირანშიც მოხერდება ამგვარი ნიმუშების მიკვლევა და შესწავლა.

სპარსული წარწერებით დადამდული ორი პორტუგალიური ზარბაზანი გამოფენილია კუნძულ ზანზიბარზე (ტანზანია), ქალაქ ზანზიბარის ისტორიულ ნაწილში (ე. წ. „ქვის ქალაქში“) მდებარე „საკვირველებათა სახლის“ (ბეით ალ-‘აჯა’იბ) სახელით ცნობილი ეროვნული სასახლე-მუზეუმის (ყოფილი სულთნის სასახლე, აგებულია 1883 წ.) შესასვლელთან (სურ. 9). ამ ორი ზარბაზნის ზოგადი მონაცემები შემდეგია: 1. სიგრძე 3,7 მ, კალიბრი 200 მმ; 2. სიგრძე 3,12 მ, კალიბრი 180 მმ. იქვე შესასვლელის ერთ-ერთ ბოძზე, დამაგრებულია საინფორმაციო დაფა ინგლისურენოვანი ტექსტით ამ სპარსულწარწერიანი პორტუგალიური ზარბაზნების შესახებ (იხ.: სურ. 9 და 9a). გარდა ამისა, 4,15 მ სიგრძის კიდვ ერთი (ანუ მესამე) სპარსულწარწერიანი პორტუგალიური ბრინჯაოს ზარაზანი განთავსებულია იმავე სასახლე-მუზეუმის მიმდებარე ბაღის ტერიტორიაზე (სურ. 10).<sup>29</sup> წარწერების ტექსტი, კალიგრაფია და გარეგნული ფორმა აქ დაცულ ზარბაზნებზე ერთმანეთის მსგავსია. სპარსული წარწერა სამივე შემთხვევაში განლაგებულია 8 სტრიქონზე და ჩასმულია ორმაგი ხაზით გამოყვანილ ფიგურულ კარტუშში (მართვულთა კარტუში, რომლის მარჯვენა და მარცხენა ფერდებზე სახელურის მსგავსი ნახევარკალებია „მიდგმული“, ხოლო ზედა და ქვედა ფერდების შუაში გუმბათისებრი ფიგურებია კენწეროში სამყურას ფორმის დაბოლოებით). სამივე შემთხვევაში (ისევე, როგორც ქვემოთ წარმოდგენილ ყველა სხვა მსგავს წარწერაში), ჩვენს მიერ ადრე უკვე განხილული წარწერებისგან განსხვავებით, მუსლიმური თარიღი (მთვარის ჰიჯრის 1031 წ.) გადმოცემულია არა ციფრებით, არამედ შესაბამისი არაბული სიტყვებით (რიცხვითი სახელებით). ნასთალივის კალიგრაფიული ხელით საკმაოდ გავრულად შესრულებული ამ სპარსული წარწერის ტექსტი (სურ. 11) ასე იკითხება:<sup>30</sup>

يا الله  
در زمان سلطنت روز افزون پادشاه زمین  
و زمان شاه عباس صفوی موافق سنه احدی  
و ثلاثین و الف هجری ابن الله ویردی خان  
غلام باخلاص شاه دین پناه امام قلی خان بیگلر بیگی  
فارس و لار و کوه گیلویه و بحرین قلعه هرموزرا  
مفتوح ساخته این تپ را بdest آورد  
يا محمد يا على

„ო, ალაპ! მიწისა და დრო-უამის მბრძანებელი შაპ ‘აბას საფავის დღენიადაგ მზარდი (სვებედნიერი) მმართველობის დროს, რაც შეესაბამება ჰიჯრის ათას ოცდათერთმეტ წელს, რელიგიის მფარველი შაპის გულერთგული ღოლამის ალაპვერდი ხანის ძემ, ფარსის, ლარის, ქუპ-გილუიეს და ბაპრეინის ბეგლარბეგმა იმამყული ხანმა დაიპყრო რა ჰორმუზის ციხე-სიმაგრე, ხელთ იგდო ეს ზარბაზანი. ო, მუპამად ! ო, ‘ალი !“

იგივე ტიპის წარწერის მქონე ერთი სხვა პორტუგალიური ზარბაზანი ამჟამად გამოფენილია ქალაქ ნიზვაში (ომანი), ადგილობრივი ისტორიული ციხე-სიმაგრის (ნიზვას ფორტის) ერთ-ერთი შესასვლელის წინ (სურ. 13).<sup>31</sup> აღსანიშნავია, რომ ამ წარწერის ტექსტი განლაგებულია 7 სტრიქონზე და ის არ არის რაიმე კარტუშში მოქცეული, ანუ უკარტუშოა (სურ. 14). წარწერა ასე იკითხება:<sup>32</sup>

در زمان سلطنت روز افزون پادشاه  
زمین و زمان شاه عباس صفوی موافق  
سنہ احدی و ثلثین و الف هجری ابن  
الله ویردی خان غلام باخلاص شاه دین  
پناہ امام قلی خان بیگلر بیگی فارس و لار و کوه گیلویه  
و بحرین قلعه هرموزرا مفتوح ساخته این  
توبی را بدست در آورد

„მიწისა და დრო-ჟამის მბრძანებელი შაპ ‘აბას საფავის დღენიადაგ მზარდი (სვებედნიერი) მმართველობის დროს, რაც შეესაბამება ჰიჯრის ათას ოცდათერთმეტ წელს, რელიგიის მფარველი შაპის გულერთგული ღოლამის ალაპერდი ხანის ძემ, ფარსის, ლარის, ქუპ-გილუის და ბაკრეინის ბეგლარბეგმა იმამყული ხანმა დაიპყრო რა ჰორმუზის ციხე-სიმაგრე, ხელთ იგდო ეს ზარბაზანი.“

როგორც ვხედავთ, ამ წარწერის ტექსტი არსებითად წინა წარწერის იდენტურია იმ მცირეოდენი განსხვავებით, რომ აქ ტექსტის თავში და ბოლოში არაა აღაპის, მუჰამადის და ‘ალის მისამართით აღვლენილი ის სასოებითი შეძახილები, რომლებიც იკითხება ზანზიბარში დაცულ ზარბაზნებზე. სხვათა შორის, ამგვარ ფრაზა-შეძახილებს ვერ ვხვდებით ვერც იმ ორ სხვა წარწერაში, რომლებსაც ქვემოთ გავეცნობით.

იმამყული ხანის სახელით შესრულებული სპარსული წარწერის მქონე პორტუგალიური ზარბაზნების კიდევ ორი ნიმუში დაცულია მათ მშობლიურ პორტუგალიაში, ქალაქ ლისაბონის სამხედრო მუზეუმის საარტილერიო იარაღის საქვეყნოდ ცნობილ კოლექციაში.<sup>33</sup> ეს ბრინჯაოს ზარბაზნები XIX საუკუნეში პორტუგალიაში ზანზიბარიდან ჩამოუტანიათ და 1903 წლიდან ლისაბონის ზემოხსენებულ მუზეუმში ინახება. 1916 წლის 4 ნოემბერს მუზეუმში სტუმრად მყოფი ვიღაც ფრანგი ორიენტალისტისთვის (სახელი უცნობია) უთხოვიათ ამ ზარბაზნებზე არსებული „არაბული“ წარწერების ამოკითხვა და თარგმნა. სტუმარს თხოვნა შეუსრულებია და თავისი თარგმანი მუზეუმისთვის ჩაუბარებია. შემდეგ ფრანგის ეს ნამუშევარი პორტუგალიურ ენაზე თარგმნეს და სწორედ ეს პორტუგალიური თარგმანი იქნა გამოქვეყნებული ლისაბონის სამხედრო მუზეუმის 1930 წელს გამოცემულ ოფიციალურ ილუსტრირებულ კატალოგში.<sup>34</sup> აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ კატალოგში წარმოდგენილი თარგმანი სავსეა უხეში შეცდომებით, რაც საგრძნობლად ამახინჯებს ჩვენთვის საინტერესო სპარსული წარწერების შინაარსს. სამწუხაროდ, 1930 წლის კატალოგში გამოქვეყნებული არაზუსტი და დამახინჯებული თარგმანი დაედო საფუძვლად ზემოხსენებული ორი პორტუგალიური ზარბაზნის ყველა შემდეგდროინდელ აღწერილობასა და პუბლიკაციას.<sup>35</sup>

ლისაბონის მუზეუმის ერთ-ერთ პორტუგალიურ ბრინჯაოს ზარბაზანზე (ახალი საინვენტარო № MML 01503, ძველი საინვენტარო № R-16; სიგრძე 3,82 მ, კალიბრი 190 მმ) დატანილი სპარსული წარწერის ტექსტი განლაგებულია 7 სტრიქონზე და ჩასმულია ორმაგი ხაზით გამოყვანილ ფიგურულ კარტუშში (ნუშის ფორმის დაკბილულგვერდებიანი კარტუში, რომლის ზედა და ქვედა წაწვეტებული ბოლოები სამყურას სახის ორნამენტით მთავრდება). გთავაზობთ ამ წარწერის სპარსულ ტექსტს (სურ. 15)<sup>36</sup> და მის ქართულ თარგმანს:

در زمان سلطنت روز افزاون پادشاه زمین  
 و زمان شاه عباس صفوی موافق سنه احدی و ثلثین  
 و الف هجری ابن الله ویردی خان غلام باخلاص شاه دین پناه  
 امام قلی خان بیگلربیگی فارس و لار و کوه گیلویه  
 و بحرین قلعه هرموزرا مفتوح ساخته این  
 توب را بدست آورد

„მიწისა და დრო-ჟამის მზრძანებელი შაპ ‘აბას საფავის დღენიადაგ  
მზარდი (სვებედნიერი) მმართველობის დროს, რაც შეესაბამება პიჯრის ათას  
ოცდათერთმეტ წელს, რელიგიის მფარველი შაპის გულერთგული ღოლამის  
ალაპევრდი ხანის ძემ, ფარსის, ლარის, ქუპ-გილუის და ბაჟრეინის  
ბეგლარბეგმა იმამყული ხანმა დაიპყრო რა პორმუზის ციხე-სიმაგრე, ხელთ  
იგდო ეს ზარბაზანი.“

იმავე სამუზეუმო კოლექციის მეორე ბრინჯაოს ზარბაზანი (ახალი საინვენტარო № MML 01222, ძველი საინვენტარო № R-17; სიგრძე 4,75 მ, კალიბრი 15 მმ; იბ. სურ. 16) შემკულია ანალოგიური შინაარსის სპარსული წარწერით, რომლის ტექსტი განლაგებულია 10 სტრიქონზე. ეს წარწერაც, წინა ნიმუშის მსგავსად, ჩასმულია ორმაგი ხაზით გამოყვანილ ნუშის ფორმის დაკბილულგვერდებიან ფიგურულ კარტუშში. გთავაზობთ ამ წარწერის სპარსულ ტექსტს (სურ. 17)<sup>37</sup> და მის ქართულ თარგმანს:

در زمان  
سلطنت روز افزوں  
پادشاه زمین و زمان شاه عباس  
صفوی موافق سنه احدی و ثلثین  
و الف هجری ابن الله ویردی خان  
غلام باخلاص شاه دین پناه امام قلی خان  
بیگلار بیگی فارس و لار و کوه گیلویه و  
بحرین قلعه هرموزرا مفتوح  
ساخته این توب را  
بدست در آورد

„მიწისა და დრო-ჟამის მბრძანებელი შაპ ‘აბას საფავის დღენიადაგ მზარდი (სვებედნიერი) მმართველობის დროს, რაც შეესაბამება ჰიჯრის ათას ოცდათერთმეტ წელს, რელიგიის მფარველი შაპის გულერთგული ღოლამის ალავერდი ხანის ძემ, ფარსის, ლარის, ქუპ-გილუიეს და ბაჟრეინის ბეგლარბეგმა იმამყული ხანმა დაიპყრო რა ჰორმუზის ციხე-სიმაგრე, ხელთ იგდო ეს ზარბაზანი.“

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ზომისა და კალიბრის პორტუგალიურ ბრინჯაოს ზარბაზნებზე (მათი ლულების ზედაპირზე) საგანგებოდ დატანილი ოთხივე სპარსული წარწერა გვაუჩებს, რომ ეს ქვემეხები მთვარის ჰიჯრის 1031 წელს ჰორმუზის აღებისას ხელში ჩაუგდია ფარსის, ლარის, ქუპ-გილუიეს და ბაჰრეინის ბეგლარბეგს იმამყული ხანს. წარწერების ტექსტი თითქმის იდენტურია, განსხვავება არის მხოლოდ მცირე

ტექსტუალურ დეტალებსა და გრაფიკულ იერში (გარკვეული სხვაობა კალიგრაფიაში, ტექსტის სხვადასხვა ოდენობის სტრიქონებად დაყოფა, სხვადასხვა ფორმის კარტუშები ან საერთოდ კარტუშის უქონლობა). ცხადი ხდება, რომ სამხედრო ნადავლად მოპოვებულ პორტუგალიურ ზარბაზნებზე განსათავსებლად იმამყული ხანის ხელქვეით ირანელ ოსტატებს ერთი და იგივე შინაარსის მქონე სამახსოვრო წარწერის ოდნავ განსხვავებული რამდენიმე ვარიანტი მოუმზადებიათ და გამოუყენებიათ. მაგრამ ყველა ასეთი ვარიანტის ძირითადი ტექსტი ერთნაირი იყო და ეს ტექსტი უქველად თავად იმამყული ხანის განკარგულებით უნდა ყოფილიყო შედგენილი და შემდეგ მის მიერვე შემოწმებული და ვიზირებული. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს იმამყული ხანის საგანგებო და სასწრაფოდ შესასრულებელ ოპერატიულ დავალებასთან, რომელიც მის სამხედრო ოსტატებს დაუყოვნებლივ უნდა მოეყვანათ სისრულებში. ნიშანდობლივია, რომ ამ ოსტატების მიერ გაკრული ხელით ნაჩქარევად შესრულებული ეს წარწერები კალიგრაფიული თვალსაზრისით შორსაა სინატიფისგან (მათგან კალიგრაფიის მხრივ შედარებით უკეთესად გამოიყურება ღისაბონში დაცულ ნიმუშებზე არსებული წარწერები), რაც უთუოდ იმით უნდა აიხსნას, რომ იმ დაძაბულ საომარ ვითარებაში მაღალი რანგის ირანელი კალიგრაფების მოწვევისა და საქმეში ჩართვისთვის არც დრო იყო და არც პირობები. აღნიშნული წარწერები (ანუ წარწერის ტექსტის ყველა ვარიანტი), რომლებსაც მკვლევარები „იმამყული ხანის ტრიუმფალურ სამახსოვრო წარწერებს“ უწოდებენ,<sup>38</sup> საკმაოდ საინტერესო ჩანს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით: წარწერის ტექსტი პოტუგალიერებთან ომში გამარჯვებული ქართული წარმომავლობის ირანელი მხედართმთავრის იმამყული ხან უნდილაძის პირდაპირი, დაუფარავი და ხმამაღალი განაცხადია სპარსეთის ყურის სამხედრო ეპოქებში მისი სრულიად გამორჩეული პირადი როლის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ თავის ამ ტრიუმფალურ წარწერაში იმამყული ხანი არ ივიწყებს და ხაზგასმით ახსენებს მამამისის, სახელგანთქმული ალავერდი ხანის სახელს. მაგრამ სეფიანთა ეპოქის ირანული სამხედრო ეპიგრაფიკის ზემოწარმოდგენილ ნიმუშებზე მსჯელობისას და მათი შეფასებისას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ამ მასალის ისტორიულ ღირებულებას: ეს წარწერები წარმოადგენს 1622 წელს ირანელთა მიერ იმამყული ხანის სარდლობით (და ინგლისური ოსტ-ინდოეთის კომპანიის ფლოტის დახმარებით) კუნძულ ჰორმუზის აღების (და ზოგადად სპარსეთის ყურეში პორტუგალიერებზე მოპოვებული სამხედრო-სტრატეგიული გამარჯვების) ამსახველ თანადროულ და ქრონოლოგიურად ერთ-ერთ ყველაზე უადრეს წერილობით ისტორიულ დოკუმენტს.<sup>39</sup>

\* \* \*

ზემოთ ჩვენ წარმოვადგინეთ და განვიხილეთ XVII საუკუნის პირველი მეოთხედის რამდენიმე სპარსული და არაბული წარწერა, რომლებიც დაკავშირებულია ირანში აღზევებული უნდილაძების ფეოდალური სახლის ცნობილი წარმომადგენლების, ალავერდი ხან უნდილაძის და იმამყული ხან უნდილაძის სახელებთან.

შაჰ სეფი I-ის (1629-1642) ბრძანებით ქ. ყაზვინში იმამყული ხანის სიკვდილით დასჯამ და მისი ოჯახის განადგურებამ, რასაც სხვადასხვა წყაროები 1632 ან 1633 წლით ათარიღებენ,<sup>40</sup> წერტილი დაუსვა უნდილაძეთა ძლიერი და გავლენიანი საგვარეულოს მრავალწლიან მოღვაწეობას ირანში.<sup>41</sup> მაგრამ მიუხედავად ესოდენ ტრაგიკული აღსასრულისა, ისტორიამ და ირანელთა ისტორიულმა მეხსიერებამ არ დაივიწყა და დღემდე პატივისცემით შემოინახა მათი სახელები, სათანადოდ შეაფასა მათი მრავალმხრივი მოღვაწეობა და მნიშვნელოვანი ღვაწლი ირანის წინაშე. შემთხვევითი როდია და თავისთავად ფრიად სიმბოლურია ის ფაქტი, რომ 1990-იანი წლების დამდევებს სპარსეთის ყურეში მდებარე კუნძულ ყეშმზე საზეიმოდ გაიხსნა იმამყული ხანის

სახელობის მოედანი, რომლის ცენტრში აღიმართა მაღალ კვარცხლბეკზე ამაყად მდგომი, წელზე ხმალშემორტყმული იმამყული ხანის უზარმაზარი ძეგლი (სურ. 18 და 19), რომლის შემქმნელია გასული საუკუნის გამოჩენილი ირანელი მოქანდაკე, „აღმოსავლეთის მიქელანჯელოდ“ წოდებული აბოლჰასან ხან სადიყი (1894-1995),<sup>42</sup> ვის შემოქმედებასაც უკავშირდება საქვეყნოდ ცნობილ მრავალ ირანელ მოღვაწეთა მონუმენტები, მათ შორის ფირდოუსის შესანიშნავი ძეგლი, რომელიც 1968 წლიდან დგას ცნობილი ვილა ბორგეზეს ბაღში ქალაქ რომში. ასევე მრავლისმეტყველი და სიმბოლურია, რომ 2014 წლიდან ქალაქ ისფაპანს ამშვენებს ალავერდი ხან უნდილაძის ბიუსტი (სურ. 21); ამ საკმაოდ შთამბეჭდავი სკულპტურული პორტრეტის ავტორია ირანელი მოქანდაკე ჰოსეინ ‘ალი ‘ასგარი, დ. 1976 წ.), რომელიც დგას ნაუშ-ე ჯაპანის საქვეყნოდ ცნობილი მოედნის მომიჯნავე ბაღში, სადაც გამოფენილია სეფიანთა პერიოდის გამოჩენილ მოღვაწეთა ბიუსტები (ეს ხეივნიანი ბაღი, რომელსაც „ბუსთან-ე მაშაპირსაც“ უწოდებენ, ნაუშ-ე ჯაპანის მოედანს აკავშირებს ოსთანდარის ქუჩასღან და ჩემელ-სოთუნის სასახლესთან),<sup>43</sup> ჩვენთვის საინტერესო ბიუსტის მართვულთხა თეთრი პოსტამენტის წინა წახნაგზე დამაგრებულია ლითონის თხელი ფირფიტა განმარტებითი ხასიათის ორენოვანი (სპარსული და ინგლისური) წარწერით (სურ. 22-24)<sup>44</sup> რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული ალავერდი ხანის ქართული წარმომავლობა. აქვე განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემოხსენებული ბიუსტის ზუსტი ასლი, ოდონდ წარწერიანი ლითონის ფირფიტის გარეშე, დგას ოთხი საუკუნის წინ ალავერდი ხანის მიერვე აგებული დიდებული ხიდის („ალავერდი ხანის ხიდის“, იგივე „სი-ო-სე-ფოლის“)<sup>45</sup> ახლოს, სამხრეთ სანაპიროდან ამ ხიდზე ასასვლელი განიერი პანდუსის მიმდებარე ხეივანში.

### შენიშვნები

\* ავტორები მადლობას უხდიან პროფ. ნაუფომი აბეს (იაპონია), პროფ. ხოსე კუტილას ფერერს (ესპანეთი), პროფ. მერ ფარჰატს (ლიბანი) და დოქტ. მაკა ნათაძეს (საქართველოს საელჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში) რამდენიმე იშვიათი და ძნელად ხელმისაწვდომი პუბლიკაციის მოპოვებაში გაწეული თავაზიანი დახმარებისთვის.

<sup>1</sup> სეფიანთა ირანის პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე აღზევებული უნდილაძეების (ალავერდი ხანის, იმამყული ხანის, დაუდ ხანის) აქტიური და ნაყოფიერი საამშენებლო მოღვაწეობის შესახებ არაერთხელ დაწერილა სპეციალურ ლიტერატურაში. მათი პირადი ინიციატივით, ძალისხმევით, უშუალო ხელმძღვანელობით და ფინანსური უზრუნველყოფით მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა: აიგო ახალი (რიგ შემთხვევებში კი გარემონტდა-განახლდა უკვე არსებული) სამეფო და სახანო სასახლეები, მეჩეთები, მედრესეები, იმამზადეები, დახურული და ღია ბაზრები, ხიდები, ქარვასლები, ფუნდუკები, ქსენონები (დარ ალ-შიფა), ბიბლიოთეკები, აბანოები, სხვადასხვა სახის სამრეწველო (მათ შორის სამხედრო იარაღის დამამზადებელი) საწარმოები და სამეურნეო ნაგებობები, გაშენდა და კეთილმოეწყო მოედნები, ბაღები და ხეივნები, გაყვანილ იქნა ახალი გზები და გადასასვლელები, აშენდა ციხე-სიმაგრეები და სხვადასხვა საფორტიფიკაციო ნაგებობები, საგრძნობლად განვითარდა საპორტო და საბაჟო ინფრასტრუქტურა (განსაკუთრებით სპარსეთის ყურის რეგიონში), აიგო წყალსაცავები, კაშხლები, დამბები, გაყვანილ იქნა არხები, ჩატარდა მასშტაბური წყალმომარაგებითი და საირიგაციო სამუშაოები და სხვ. ამ საკითხზე იხ. მაგალითად: Avalishvili, 1937, 36-37; ავალიშვილი, 1938, 95-96; გაბაშვილი, 1972, 65, 75; Gabashvili, 2007, 39-40, 49-50; გიორგაძე, 1970, 88-89, 94; Gvakharia and Katsiadze, 1978, 8-9; გვილავა, 1980, 103-106, 129; ფათემი, 1982, 65-68; Beradze and Smirnova, 1988, 58; გელაშვილი, 1996, 3; გელაშვილი, 1997, 70-76; გელაშვილი, 2009, 230-236; კაციტაძე, 2005, 119, 123-124, 127; სანიკიძე, 2016, 53-54; სონდულაშვილი, 2005, 91-92, 94-95 Mikaberidze, 2007, 114, 519; კომორიძე, 2012, 112-113; სალადაია, 2013, 46; SPA, III, 1967, 1209-1210, 1235-1237, Figs. 424, 428, Pl. 493; Honarfar, 1348/1969, 16-18; Honarfar, 1350/1971, 4-9; Honarfar, 1350/1971, 483-484, 487-488; Honarfar, 1376/1998, 43, 45-47; Rafi'i Mehrabadi, 1352/1973, 317-327; Afsar,

1353/1974, 124-129, 133-150, 158-159, 256; Bahari, 1353/1974-75, 60-62; Bastani Parizi, 1362/1983, 100. 144; Nava'i, 1364/1985, 294-295; Nava'i and Ghaffari Fard, 1381/2002, 340-341; Hillenbrand, 1986, 778, 795; Savory, 1996, 291-292; Savory, 1998, 394; Alemi, 1997, 73, 86, Fig. 7; Alemi, 2008, 529-532, 541, 548-551, 553; 'Alemi, 1385/2006, 77, Fig. 7; Mulyani, 1379/2000, 247-250, 256-257, 268-270; Sami'i, 1380/2001, 83; Sami'i, 1380/2001a, 155; Ja'fariyan, 1378/1999, 223-224; Ahmadi, 1380/2001, 216-217; Mir Ja'fari, 1382/2003, 131-156; Babaie, 2004, 83, 88, 90, 92-94, 174-175; Babaie and Haug, 2007, 35-36, Pl. I (5); Shahbazi, 2004; Newman, 2006, 65, 195-196; Neyestani, 2006, 125-132; Soltani, 1387/2008, 24-31; Brignoli, 2009, 728-729, 731-735, 747-753; Nezhad Akbari Mehreban, 1388/2009, 288-290; Pur Naderi, 1389/2010, 53-55; Losensky, 2011, 207-209; Maeda, 2012, 483; Rafi'i and Bamati, 1391/2012, 52-53; Anisi, 2014, 181-202 (cf. Khoubnazan and Kleiss, 1975) Zandiye, 1393/2014, 49; Melville, 2016, 166-169, 171; Hekmatnia and Ahmadi, 1396/2017, Parsadust, 1397/2018, 85, 519-521, 544-547, 806; Moslemi et al., 1398/2019, 120-124, და სხვ.

<sup>2</sup> აქ ჩვენ ვგულისხმობთ მხოლოდ ისეთ წარწერას, რომელიც უშუალოდ აღავერდი ხანთან არის დაკავშირებული. ისე კი, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ, აღავერდი ხანის სახელი არაერთგზის არის მოხსენიებული მისი მემკვიდრის იმამყული ხანის 1622 წლის იმ წარწერებში, რომლებიც განხილული გვექნება წინამდებარე სტატიის ბოლო მონაკვეთში.

<sup>3</sup> ქალაქ მეშქედში მდებარე აღავერდი ხან უნდილაძის გუმბათიანი აკლდამის, მისი არქიტექტურის, დეკორატიული გაფორმების და ეპიგრაფიკის შესახებ იხ.: Mo'taman, 1340/1961, 39-43; Mo'taman, 1348/1969, 150-156; Kaviyaniyan, 1354/1975, 149-155; Saadat, 1976, 37-38; Hillenbrand, 1986, 790-791, 833; 'Utaredi, I, 1371/1992, 192-196; *Banaha-ye Aramgahi*, 1378/1999, 344, 348' Farhat, 2002, 189, 191-199; Farhat, 2014, 212-213; Babaie, 2004, 93-94, 175; Canby, 2009, 27, 108-109; Shayestehfar, 1389/2010, 78-89; Shayestehfar, 2013, 126-134, 141-142; La'l Shateri, 1396/2017, 71-72; Khan Hosaynabadi and Eshraghi, 1397/2018, 1-35; Sadat Shahrami and Sheikhi, 1399/2020, 5-19; Moghaddam and Mirfattah, 1392/2013; "Ravaq-e Gonbad-e Allahverdi Khan", *Daneshname-ye Mashhad*, 1393/2014 (<http://mashhadenc.ir/>). იხ. აგრეთვე: Movlavi, 1353/1974, 259, 422, 447-448, 507; Seyyedi, 1378/1999, 176; Yahya'i, 1387/2008, 221-225.

<sup>4</sup> Mo'taman, 1348/1969, 156; Kaviyaniyan, 1354/1975, 152-153; Farhat, 2002, 193; Canby, 2009, 109; Shayestehfar, 1389/2010, 85; Saghaei and Behruzipur, 1396/2017, 203, 215; cf. Mo'taman, 1340/1961a, 35-37. ამ არაბულ წარწერაში, სხვა საინტერესო დეტალებთან ერთად, ყურადღებას იქცევს შაპ 'აბას I-ის ხენებისას მოხმობილი ტიტული-ეპითეტი „სეიდ ალ-არაბ ვა ლ-აჯამ“, ანუ „არაბთა (არაბეთის) და სპარსთა (სპარსეთის) ბატონი“. მოცემულ კონტექსტში შაპის მიმართ ტერმინ „სეიდ“-ის ხმარებას ორმაგი შინაარსობრივი დატვირთვა უნდა ჰქონდეს: ერთის მხრივ, მისი მნიშვნელობაა „ბატონი, მეუფე“, ხოლო იმავდროულად ის მიანიშნებს შაპ 'აბასის „სეიდურ წარმომავლობაზე“ [შეგახსენებთ, რომ სეფიანი შაპები თავის თავს სეიდებად მიიჩნევდნენ და ჯერ კიდევ XIV-XV სს. მთელ რიგ წერილობით წყაროებში დაფიქსირებულ და შემდეგ უკვე შაპ ისმა'ილ I-ის (1501-1524) დროს სეფიანთა საქვეყნოდ განცხადებულ „ოფიციალურ“ აღიდურ გენეალოგიაზე დაყრდნობით ირწმუნებოდნენ, რომ მათი დინასტია წარმომავლობით დაკავშირებული იყო შიიტ იმამებთან (კონკრეტულად მეშვიდე იმამ მუსა ალ-ქაზიმთან, გარდ. 799 წ.) და ამ ხაზით კი უშუალოდ თვით მოციქულ მუჰამადთან; ამ საკითხის კვლევის ისტორიის და ახლადმიკვლეული მონაცემების შესახებ იხ.: Morimoto, 2008, 823-836; Morimoto, 2010, 447-469; Yousefi et al., 1394/2015, 191-207; Rahmati, 1395/2016, 389-424]. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ შაპ 'აბას I-ის სახელთან დაკავშირებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში და ასევე მომდევნო სეფიან გვირგვინოსნებთან დაკავშირებულ წარწერებში, შაპის მიმართ მსგავსი ტიტულის დასახელებისას ძირითადად გამოყენებულია ხოლმე ტერმინი „მაულა“ („ბატონი“, „მეუფე“, „მფარველი“) -- „მაულა ალ-არაბ ვა ლ-აჯამ“, ან „მაულა მულუქ ალ-არაბ ვა ლ-აჯამ“ (იხ., მაგ.: Honarfar, 1348/1969a, 4-6; Honarfar, 1350/1971, 457, 477, 479, 555, 610, 614, 621, 651; Sa'idi, 1343/1964, 66; Mo'taman, 1348/1969, 102; Rafi'i Mehrabadi, 1352/1973, 805).

<sup>5</sup> Mo'taman, 1340/1961, 43; Mo'taman, 1347/1968, 163; Mo'taman, 1348/1969, 152; Kaviyaniyan, 1354/1975, 151; 'Utaredi, 1371/1992, 193; Shayestehfar, 1389/2010, 82; La'l Shateri, 1396/2017, 72; Sadat Shahrami and Sheikhi, 1399/2020, 13.

<sup>6</sup> ლექსის მეორე ბაითის ეს თარგმანი მიახლოებითი და სავარაუდოა. შეიძლებოდა თარგმანის სხვა ვარიანტების მოხმობაც, მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ამას რაიმე არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

<sup>7</sup> ამ კონკრეტულ კონტექსტში ტერმინი „შაპი“ გულისხმობს არა ირანის გვირგვინოსან შაპს, არამედ ქ. მეშვედში დაკრძალულ შიიტების მერვე იმამს აღ-რეზას (‘აღი იბნ მუსა აღ-რიზა) როგორც სულიერ შაპს, სულიერ ხელმწიფეს, რომლის აკლდამის (ირანში შიიტთა ყველაზე წმინდა და სათაყვანებელი ადგილის) უშუალო სიახლოვეს არის სწორედ განლაგებული მეშვედში აღავერდი ხაის გუმბათიანი განსასვენებელი.

<sup>8</sup> Mo'taman, 1340/1961, 43; Mo'taman, 1348/1969, 153; Kaviyaniyan, 1354/1975, 151; 'Utaredi, 1371/1992, 194; Shayestehfar, 1389/2010, 84; La'l Shateri, 1396/2017, 72; Sadat Shahrami and Sheikhi, 1399/2020, 8.

<sup>9</sup> იბ. ზემოთ, შენ. 7.

<sup>10</sup> 'Utaredi, 1371/1992, 194; Shayestehfar, 1389/2010. 84; Sadat Shahrami and Sheikhi, 1399/2020, 8. არაბ. „ხადიმ“ (*khādim*; > სპარს. *khādem*, „ხადემ“) ნიშნავს „მსახური“, შესაბამისად „ჰასან აღ-ხადიმ“ არის „მსახური ჰასანი“. წერილობით წყაროებში ამ ტერმინით (არაბ. ‘ხადიმ’, სპარს. ‘ხადემ’, სპარს. მრ. ‘ხადემან’) მოიხსენიებიან მეშვედში იმამ რეზას გრანდიოზული აკლდამის და მის ირგვლივ განთავსებული სხვა აკლდამების მსახურები, მომვლელ-მეთვალყურეები, რომლებსაც თავისი თავაცები (‘ხადემ-ბაში’) ჰყავდათ და რომელთა საქმიანობას ამ შიიტური სიწმინდის მთავარი მეურვე და მმართველ-ზედამხედველი (მუთავალი) ხელმძღვანელობდა და აკონტროლებდა (იბ., მაგალითად: Rafi' Ansārī, 2018, სპარს. ტექსტი, 8-10; Mo'taman, 1348/1969, 327, 474).

<sup>11</sup> მეშვედის ასთან-ე ყოდსის მუზეუმის კოლექციაში დაცული გოლგირ-ე შამ-ის (ანუ სანთლებისთვის განკუთვნილი სპეციალური მაკრატლის) რამდენიმე ეგზემპლარის ფოტო გამოქვეყნებულია ‘აღი მო’თამანის მონოგრფიაში (Mo'taman, 1348/1969, მესამე ფოტოილუსტრაცია 250-ე და 251-ე გვერდებს შორის).

<sup>12</sup> ტექსტშია; „როუზე-იე ხოლდ-ე ბარინ“ (სიტყვასიტყვით „სამოთხის ბაღი“). სიტყვა „ბაღი“-ს (არაბ. „აღ-რავზა“; > სპარს. „როუზე“) ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობაა „აკლდამა“, „საფლავი“. ისლამურ ტრადიციაში მუსლიმთათვის სათაყვანებელი წმინდანის საფლავი-აკლდამა (შიიტებისთვის ყველა შიიტი იმამის აკლდამა, ასევე მათი შვილებისა და ოჯახის სხვა წევრების აკლდამები და/ან მათ სახელზე აგებული მემორიალური რელიგიური ნაგებობები, ე. წ. „იმამზადეები“) აღიქმება როგორც ბაღი, წალკოტი, რომელსაც თავს ევლებიან ზეციური ანგელოზები.

<sup>13</sup> Shamlu, I, 1371/1992, 183-184, სადაც ეს ეპიზოდი დათარიღებულია მთვარის ჰიჯრის 1009 წლით (=1600/1601 წ.); E'temad al-Saltane, II, 1367/1988, 897; Qumi, 1388/2009, 776; Sykes, 1910, 272, 275; Sykes, II, 1915, 266; Falsafi, III, 1371/1992, 864, no. 3; Mirza Mohammad Ma'sum, 1351/1972, 44, 88; Mo'taman, 1348/1969, 251; Nikuhemmat, 1344/1965, 65; Paknia, 1384/2005, 148; Musavi Panah, 1391/2012, 18. Izadi, 1291/2012, 140. შეის ბაპა’ის სპარსული ლექსების „დივან“-ში ამ რობა’ის რამდენადმე განსხვავებული შემდეგი ვარიანტია წარმოდგენილი: „ყოველ დიღა-საღამოს ზეციური ანგელოზები // სამოთხისებრ წმინდა აკლდამაში მოდიან. // მაკრატელი ფრთხილად შეახე, მსახურო (ხადემ)! // მეშინია, [ალაპის] ნდობამოსილ ჯაბრა’ილს ფრთა არ დაუზიანო“; იბ. *Divan-e kamel-e Sheykh Bahā'i*, 1361/1982, 72; Fo'adiyan and Siyavashi, 1392/2013, 308; შდრ. Awhadi, II, 1389/2010, 895.

<sup>14</sup> Musavi Panah, 1391/2012, 18.

<sup>15</sup> შირაზის ამ უძველესი მეჩეთის როგორც საკმაოდ ვრცელი და მრავალკომპონენტიანი რელიგიურ-არქიტექტურული კოპლექსის ისტორიის, მისი არქიტექტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპების და ამ ძეგლზე არსებული წარწერების შესახებ იბ.: Wilber, 1972; Behruzi, 1340/1961; Behruzi, 1349/1970; Behruzi, 1354/1975, 186-199; Ne'mati et al., 1396/2017; Mostafavi, 1343/1964, 65-67; გვილავა, 1980, 128-130.

<sup>16</sup> კონკრეტულად ამ წარწერის შესახებ იბ.: Wilber, 1972, 27; Behruzi, 1340/1961, 48-49; Behruzi, 1354/1975, 190-191; Ne'mati et al., 1396/2017, 109; “Katibe-ye sar-e dar-e shomali-ye (Darb-e Davazdah Emam) Masjed-e Jame'-e Atiq (shahr-e Shiraz, 1031 q.)”, *Bastanshensi*, July 2019; Mostafavi, 1343/1964, 65.

<sup>17</sup> ტექსტშია „აღ-დინ აღ-მუბინ“. არაბ. „აღ-მუბინ“ („ნათელი“, „აშკარა“, „ცხადი“) მუსლიმურ ტექსტებში ხშირად იხმარება თვით ალაპის, ასევე ყურანის და ისლამის (როგორც რელიგიის) მიმართ.

<sup>18</sup> ტექსტშია „მახატიბ ბი-ამინ აღ-მულქ ვა ’ლ-მილლათ“ [„სამეფოსა. და ხალხის (თემის) სანდოდ (ნდობამოსილად) წოდებული“]. ტერმინი „ამინ“ („სანდო“, „ნდობამოსილი“) მოციქულ მუჰამადის მრავალთაგან ერთ-ერთი სახელი-ეპითეტია.

<sup>19</sup> ტექსტშია „‘ათივ’ („‘ათიყ”), რაც ნიშნავს „ძველი“, „ანტიკვარული“, და იმავდროულად – „დიდებული“, „მშვენიერი“, „იშვიათი“. შდრ. Wilber, 1972, 27.

<sup>20</sup> წარწერის ეს მცირე მონაკვეთი დაზიანებულია და იკითხება მხოლოდ „اَلْمُعْذِنِيْس“ შესახებ იხ. ზემოთ, შენ. 16.

<sup>21</sup> წარწერაში მოხსენიებული ეს პირი (ანუ მრჩეველი მუჰამად რიზა ამინ ალ-მულქი) უთუოდ შირაზის ამ მეჩეთის სარემონტო სამუშაოებში ჩართული ერთ-ერთი იმდროინდელი ჩინოვნიკი იყო, როგორც ჩანს, მისი როლიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, სხვაგვარად წარწერის შემსრულებელი ოსტატი მის სახელს თვით შაპ ‘აბასის და იმამყული ხანის გვერდით ვერ დაასახელებდა.

<sup>22</sup> Mashayekhi, 1389/2010; “Shahr-e man Golpayegan”; “Emamzade-ye Hefdah-tan”, *Rasekhoon* 2, 1395/2016; “Emamzadegan-e Hefdah-tan (‘a), Golpayegan”; [امامزاده هفتاد و نهمین](http://isfahan.irib.ir/-/).

<sup>23</sup> Rafi'i Mehrabadi, 1352/1973, 899; Mashayekhi, 1389/2010; “Shahr-e man Golpayegan” “Emamzade-ye Hefdah-tan”, *Rasekhoon* 2, 1395/2016; “Emamzadegan-e Hefdah-tan (‘a), Golpayegan”; cf. ; Mashkuti, 1345/1966, 47; *Banaha-ye Aramgahi*, 1378/1999, 314. აქვე შევნიშნავთ, რომ გოლფაიეგანის ამ იმამზადეს გუმბათის შჯდა ნაწილებში იკითხება ა ნასთა ღლიყით შესრულებული 12-ბათიანი სპარსული სახოტბო ლექსი, რომელიც შაპ ‘აბას I-ს ეძღვნება და რომლის მეხუთე ბაითში ნახსენებია იმამყული ხანი (იხ.: Mashayekhi, 1389/2010).

<sup>24</sup> „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“ (ზათამ ალ-ნაბიინ, ‘ზათამ ალ-ანბია’) მოციქულ მუჰამადის მრავალთაგან ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ეპითეტია, რომელიც პირველად გვხვდება ყურანში, სურა XXXIII, აია 40; იხ.; ყურანი, 2006, 279, 625 (შენ. 52; “Names and titles of Muhammad” ([https://en.wikipedia.org/wiki/Names\\_and\\_titles\\_of\\_Muhammad](https://en.wikipedia.org/wiki/Names_and_titles_of_Muhammad))).

<sup>25</sup> „ალ-მურთაზა“ („რჩეული“, ანუ „ალაპის რჩეული“, „ალაპის მერ მოწონებულ“) მოციქულ მუჰამადის ბიძაშვილისა და სიძის, მეოთხე ხალიფას და შიიტების პირველი იმამის ‘ალი იბნ აბი ტალიბის (გარდ. 661 წ.) მრავალთაგან ერთ-ერთი სახელი-ეპითეტია. სხვათა შორის, იმამი ‘ალი სწორედ ამ ეპითეტით (მურთუზალი) არის მოხსენიებული მეფე თეიმურაზ I-ის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“; იხ.: თეიმურაზ პირველი, 1934, 129 (სტრ. 30), 309; Avalishvili, 1937, 31; ავალიშვილი, 1938, 80; გაბაშვილი, 1972, 74; Gabashvili, 2007, 48; კაციტაძე, 2005, 122.

<sup>26</sup> ტექსტშია „ალ-მუნავვარა“ – „მბრწყინავი“, „გასხივოსნებული“, „ნათელმოსილი“.

<sup>27</sup> როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ისლამურ ტრადიციაში სიტყვა „ბაღი“-ს („ალ-რავზა“) ერთ-ერთი გადატანითი მნიშვნელობაა „აკლდამა“, „საფლავი“ (იხ. აქვე, შენ. 11).

<sup>28</sup> Beradze, 2018, 59-60; Beradze, 2019.

<sup>29</sup> ზოგიერთი ავტორი ვარაუდობს, რომ ეს სპარსულწარწერიანი პორტუგალიური ზარბაზნები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის პირველ ათწლეულებში ირანიდან (კერძოდ პორტუგალიური ზარბაზნები) გადავლად წაიღის და ომანში ჩაიტანეს საიფ ბინ სულთანის (1692-1711) ან მისი მემკვიდრის ზეობის დროს, როდესაც ომანელებმა რამდენჯერმე წარმატებით ილაშქრეს სპარსეთის ყურის ირანულ სამფლობელოებზე და ზოგიერთი მიიტაცეს კიდეც, მოგვიანებით კი, როდესაც 1837 წელს მუსკატისა და ომანის სულთანმა სეიდ სა'იდ ბინ სულთან ალ-ბუსაიდიმ (1807-1856) თავის ოფიციალურ რეზიდენციად ზანზიბარი გამოაცხადა, ომანიდან იქ ჩაიტანა ირანიდან წამოღებული ჩვენთვის საინტერესო წარწერების მქონე პორტუგალიური ზარბაზნები [ იხ.: Pearce, 1920, 201-203 (იქვე ავტორი გვთავაზობს პორტუგალიურ ბრინჯაოს ზარბაზნებზე არსებული სპარსული წარწერის მისეულ ინგლისურ თარგმანს, თუმცა მისი ეს თარგმანი არაზუსტია და სავსეა უხეში შეცდომებით); Finke, 2002, 64 ]. არსებობს ასევე ვარაუდი, რომ ეს ზარბაზნები ომანის სულთან სეიდ სა'იდს ა98(=168უქა ირანის ყაჯარმა ხელმწიფები ფათჰ-ალი შაჰმა (1797-1834), რომელმაც მას 1827 წელს თავისი დისტვილი მიათხოვა (იხ.: ‘Arabahmadi, 1379/2000, 179-180; ‘Arabahmadi, 1382/2003, 164-165; ‘Arabahmadi, 1398/2019, 352-354). ირკვევა, რომ ზანზიბარში ჩვენთვის საინტერესო სპარსული წარწერების მქონე პორტუგალიური ზარბაზნების რაოდენობა თავის დროზე სამზე მეტი იყო. ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით ვიცით, რომ ორი ასეთი ზარბაზნი XIX საუკუნეში ზანზიბარიდან პორტუგალიაში გადაუტანიათ, სადაც 1903 წლიდან ისინი ლისაბონის სამხედრო მუზეუმში ინახება (ამის შესახებ იხ. ქვემოთ), საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ზანზიბარში დაცულ ერთ-ერთ სპარსულწარწერიან ზარბაზანზე, ჰიჯრის 1031 წლით (=1622 წ.) დათარიღეული სპარსული წარწერის გვერდით ვხედავთ ორნახევარი საუკუნის შემდეგ არაბთა მიერ კალიგრაფიულად საკმაოდ ლამაზად შესრულეულ და სქელ ფიგურულ

კარტუშში მოქცეულ მოკლე არაბულ რელიეფურ წარწერას ნასხით, რომლის ქვედა ნაწილში ჩასმულია ციფრებით ამოხატული მუსლიმური თარიღი -- მთვარის ჰიჯრის 1290 წელი, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით შეესაბამება პერიოდს 1873 წლის 1 მარტი -- 1874 წლისა 17 თებერვალი [იხ.: სურ. 12; "Portuguese cannon. Stone Town, Zanzibar (1)"; "Omani inscription on Portuguese cannon. Stone Town, Zanzibar" ]. საკუთრივ ზემოხსენებული მოკლე არაბული ქარწერა (თუ ეპიგრაფიკული დამდა) შეიცავს ზანზიბარის სულთანთა დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენლის სეიდ ხალიფა ბინ სა'იდის (1852-1890 წწ.) სახელს, რომელიც 1873/74 წ. (ანუ ამ პორტუგალიურ ზარბაზანზე არაბული დამღის დასმის დროს) ჯერ კიდევ უფლისწული იყო, და მხოლოდ მოგვიანებით, 1888-1890 წლებში, ის ხანმოკლე დროით ზანზიბარის ტახტზე იჯდა.

<sup>30</sup> ამ წარწერის ტექსტი (და შესაბამისი ფოტოები) იხ.: 'Arabahmadi, 1379/2000, 180; 'Arabahmadi, 1382/2000 3, 165; 'Arabahmadi, 1398/2019, 353; Parsa, 2012; Rezvanfar, 1398/2019; Rezvanfar, 1398/2019a; შდრ. Castro, 2021, 197-198, Figs 3-5 ,სადაც ეს პორტუგალიელი მკვლევარი იმეორებს ჩვენთვის საინტერესო სპარსული წარწერის ჯერ კიდევ 1920 წელს გამოქვეყნებულ ფ. პირსისეულ ინგლისურ თაფვენას (წყაროს მითითების გარეშე), რომელიც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა (იხ. შენ. 29), სავეა უხეში შეცდომებით.

